ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №208/01-01 12.11.2015წ.
დანართი №1

2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის კილის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის მიერ თსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიების მიმღებთა (სტიპენდიატი) შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და სტიპენდიატთა შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებსა და აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის კილის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სტიპენდიების მიმღებთა (სტიპენდიატი) შერჩევა 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.
2. კანდიდატი და სტიპენდიატი
სტიპენდიატები შეირჩევიან კანდიდატებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.
3. სტიპენდიატების შერჩევა
სტიპენდიატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით
სტუდენტები:
1. აკადემიური მოსწრება
2. მოტივაცია
3. ზეპირი პრეზენტაცია (ენის ცოდნის დონე)

პერსონალი:
1. მობილობის შედეგი
2. მოტივაცია
3. სამუშაო გეგმა

4. კომისიის შეფასება
ა) კანდიდატის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე	10 ქულა
ძალიან კარგი	9 ქულა
კარგი	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი	7 ქულა

საკმარისი	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი	5 ქულა და ნაკლები

ბ) თუ კანდიდატის მოტივაცია ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადა-მაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება შესარჩევი კომისიის შეფასების საფუძველზე.